20/02/2026

MES 3 26 0000198264

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 6 თებერვალს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=82885577616
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნია გუგუნავა – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ნათია მაწკეპლაძე
ნინო გორგოშაძე
ზაირა ბერიძე
ავთანდილ გეგენავა
ნინო რამიშვილი
თინათინ ბურძენიძე
მედეა ზურაბიშვილი
ქეთევან ღვანიძე
ხათუნა მაისაია
ნანა ვერულაშვილი
ალექსანდრე კეკენაძე
თეა ნარეკლიშვილი

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“
ხარისხის მართვის მენეჯერი – სოფიკო ყულეჯიშვილი;

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა
დირექტორი – ლალი ხვედელიძე;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი – მზევინარ ძირკვაძე;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი პროფესიული განათლების მიმართულებით – ქეთევან ბაუჟაძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი – ოთარ ცინცაძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი – ია ვერულიძე;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ ხელმძღვანელი – დავით ბერიძე;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია" ხელმძღვანელი – ლევან ქარჩავა;

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯის „იმედი“
კოლეჯის დირექტორი – იზი იორამაშვილი;
კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი – ქეთევან ჯანელიძე;

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორისთვის „საგემბანე განყოფილების რიგითი – მატროსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორისთვის „სამანქანე განყოფილების რიგითი – მოტორისტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლისთვის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლისთვის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა.

ნანი დალაქიშვილმა წარმოადგინა შუამდგომლობა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2"-ის მონიტორინგის ვადებისა და ფორმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ კოლეჯმა პროგრამების განხორციელების უფლება გასულ წელს მოიპოვა, რის შემდეგაც 20 ოქტომბრიდან დაგეგმილი იყო მონიტორინგი. დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც საჭიროებდა დაზუსტებას და გაიარა კონსულტაციები საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში. 4 თებერვლის წერილით დაწესებულებამ ითხოვა მონიტორინგის პროცესის ორ ეტაპად გაყოფა, კერძოდ, მიმდინარე ეტაპზე განხორციელდეს მონიტორინგი ვალეს მისამართზე „ელექტრობის" პროგრამის 2.2 კომპონენტის ფარგლებში; ხოლო მეოთხე და მეხუთე სტანდარტების შეფასების მიზნით (4.1, 5.1, 5.2 კომპონენტები), აქტივობების შესრულება გადამოწმდეს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დასრულების შემდეგ, რაც განსაზღვრულია 2026 წლის 12 მაისით.

საბჭომ დააზუსტა, რომ სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მიზანშეწონილია ორივე ეტაპზე განხორციელდეს ადგილზე ვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საკითხთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი დააფიქსირა საბჭოს წევრმა, გოგიტა მშვენიერაძემ და მოითხოვა აცილება კენჭისყრის პროცესიდან.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2"-ის მონიტორინგის ორ ეტაპად გაყოფისა და, ორივე ეტაპზე, ადგილზე ვიზიტის განხორციელების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

საბჭოს წევრმა ხათუნა ცერცვაძემ დატოვა სხდომა.

პირველი საკითხი: შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორისთვის „საგემბანე განყოფილების რიგითი – მატროსი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია მაწკეპლაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 1 დეკემბრის №1704994 ბრძანების (ცვლილებები: №1820831 22.12.2025; №19976 14.01.2026) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საგემბანე განყოფილების რიგითი – მატროსი“ დამატების ფარგლებში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგის შესაბამისად, 2026 წლის 18 იანვარს განხორციელდა ვიზიტი შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორში, მისამართზე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. №33, 35; ბათუმგორის ჩიხი №2. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, დამფუძნებელს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს. ასევე განხორციელდა სასწავლო გარემოს, ბიბლიოთეკისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი – შეფასდა შესაბამისად. თუმცა, გაცემულ იქნა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია: პროგრამის ხელმძღვანელის „სამუშაო აღწერილობა“ განსაზღვრავს მისთვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის და არანაკლებ 3-წლიანი სამუშაო გამოცდილების ან 1-წლიანი პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას. აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ანალოგიურია პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის დადგენილი მოთხოვნებისა. სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვისა და დაკორექტირების შესაძლებლობა, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციური დატვირთვისა და პასუხისმგებლობების მოცულობის გათვალისწინებით, ვინაიდან აღნიშნული პოზიცია მოითხოვს უფრო ფართო მართვით, საკოორდინაციო და ხარისხთან დაკავშირებულ კომპეტენციებს, ვიდრე პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიცია.

ინდიკატორი 2.2.1.5 - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში – შეფასდა შესაბამისად. თუმცა, გაცემული იქნა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებაში წარმოდგენილია პროფესიული მასწავლებლების მიერ შემუშავებული „რიდერები“, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად. სასურველია, აღნიშნული სასწავლო მასალების შემუშავება და განახლება განხორციელდეს სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად ჩართულნი იქნებიან პროგრამის ხელმძღვანელი და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს „რიდერების“ შინაარსის სისტემატურ გადახედვას, დარგში მიმდინარე ცვლილებების დროულ ასახვას და სასწავლო მასალების პრაქტიკულ მოთხოვნებთან მეტად შესაბამისობას, რაც პოზიტიურად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების რიგითი – მატროსი“ მიეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში. სწავლის დეტალური სფეროს კოდი განსაზღვრულია 1041-ით, ხოლო თავად პროგრამა დამტკიცებულია 2025 წლის 24 ოქტომბრის N20388 აქტით. საგანმანათლებლო პროცესი არის ქართულენოვანი და მისი განხორციელება დაგეგმილია ქალაქ ბათუმში, ორ ლოკაციაზე: შავშეთის ქუჩა N33, 35-სა და ბათუმგორის ჩიხი N2-ში. პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკულ მომზადებაზე და ითვალისწინებს რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებას კოოპერაციული ფორმატით. სასწავლო გეგმის სტრუქტურა მორგებულია სტუდენტთა საჭიროებებსა და ენობრივ კომპეტენციებს. კერძოდ, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმა მოიცავს 72 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის გათვალისწინებულია 102 კრედიტი. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 140. პროგრამის განხორციელების ფორმა, კრედიტების განაწილება და ინფრასტრუქტურული ბაზა სრულ შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია მაწკეპლაძემ, აღნიშნა, რომ პროგრამის დამატება პირდაპირ პასუხობს დაწესებულების მისიას, რაც გულისხმობს შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი მეზღვაურების მომზადებას. წარმოდგენილი დასაბუთების თანახმად, კოლეჯის გეოგრაფიული მდებარეობა ქალაქ ბათუმში, რომელიც

აქტიური საზღვაო-ლოგისტიკური ცენტრია, ქმნის ოპტიმალურ გარემოს პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლებისთვის. შრომის ბაზრის კვლევები ადასტურებს აღნიშნული პროფესიის მაღალ მოთხოვნას, რასაც ემატება კურსდამთავრებულთა დასაქმების პროგნოზირებადი 50%-ზე მაღალი მაჩვენებელი, რაც პროგრამის ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სასწავლო ინფრასტრუქტურის დეტალურ მიმოხილვასა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. დაწესებულებამ წარმოადგინა მრავალფეროვანი სასწავლო გარემოები, რომლებიც კლასიფიცირებულია მათი დანიშნულების მიხედვით. A ტიპის გარემოები, რომლებიც განკუთვნილია თეორიული მეცადინეობებისთვის, მოიცავს ორ ძირითად აუდიტორიას 40 და 60 სტუდენტზე გათვლილი ტევადობით, ასევე, დამატებით სივრცეებს, რომლებიც სხვა პროგრამებთან თანაექსპლუატაციაშია. გამოყოფილია სამი B ტიპის ლაბორატორია, სადაც სტუდენტთა რაოდენობა 10-დან 28-მდე მერყეობს. რაც შეეხება სპეციალიზებულ პრაქტიკულ მომზადებას, ცენტრი ფლობს C ტიპის გარემოებს, მათ შორის 12 კაცზე გათვლილ სახელოსნოს, სამედიცინო კაბინეტსა და 24 ადამიანის გამტარუნარიანობის მქონე საცურაო აუზს. ამას ემატება „ხანძართან ბრძოლის პრაქტიკული წვრთნის გარემო“, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია საზღვაო უსაფრთხოების სტანდარტების ასათვისებლად.

პროგრამის განხორციელების მდგრადობას უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალი და პარტნიორული ურთიერთობები. სასწავლო პროცესში ჩართულია 27 პროფესიული მასწავლებელი, რომელთაგან 22 დარგობრივი მოდულების სპეციალისტია, ხოლო 5 – ზოგადი მოდულების. თითოეული მათგანის კომპეტენცია დადასტურებულია მინიმუმ სამწლიანი სამუშაო ან ერთწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. კოლეჯი იცავს პროპორციას – მინიმუმ ერთი მასწავლებელი ყოველ 20 სტუდენტზე, რაც ინდივიდუალური მიდგომის გარანტიაა. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას კიდევ უფრო აძლიერებს ხელშეკრულებები ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან. ეს პარტნიორობა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, საწარმოო პრაქტიკა და საზღვაო წვრთნები გაიარონ რეალურ სამუშაო გარემოში, სადაც თითოეული ობიექტი 280 სტუდენტის მიღების მზაობას აცხადებს.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და ხარისხის კონტროლი ეფუძნება მკაცრად გაწერილ შიდა მექანიზმებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და სპეციფიკური სამედიცინო შემოწმება, რაც საერთაშორისო საზღვაო კონვენციის (STCW) მოთხოვნაა. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ვალიდური ინსტრუმენტებით, რომლებიც გადის წინასწარ ვალიდაციას. შეფასების მტკიცებულებები და სტუდენტთა პორტფოლიოები ინახება სამი წლის ვადით, რაც პროცესის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისა, საზღვაო სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, შშმ პირთა დაშვება რეგულირდება საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტებით, რაც აუცილებელია გემზე უსაფრთხო მუშაობისთვის.

ექსპერტმა მიმოიხილა პროგრამის ფინანსური რენტაბელობა და განვითარების პერსპექტივები. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის მდგრადობისთვის საჭიროა მინიმუმ 20 სტუდენტის მიღება, რაც ვაუჩერული დაფინანსების პირობებში სრულად ფარავს პერსონალის შრომით ანაზღაურებას, ინფრასტრუქტურულ და მასალების ხარჯებს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი რესურსები, ორცვლიანი სამუშაო გრაფიკი და ხარისხის მართვის სისტემა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა დაწესებულების ინფრასტრუქტურული გამტარუნარიანობის საკითხზე. კერძოდ, მან ყურადღება გაამახვილა თვითშეფასების დოკუმენტსა და დასკვნაში წარმოდგენილი სტუდენტთა მისაღები კონტინგენტიდან გამომდინარე, სასწავლო გარემოს (A, B და C გარემო) შესაბამისობაზე. კითხვა შეეხებოდა იმას, თუ რამდენად იძლევა არსებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის საცურაო აუზი და სპეციალიზებული გარემოებები, 144 სტუდენტის მიერ პრაქტიკული კომპონენტების სრულფასოვნად გავლის შესაძლებლობას, კვეთების თავიდან აცილებისა და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების გათვალისწინებით.

დარგის ექსპერტმა, ნინო გორგოშაძემ, განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში დეტალურად შემოწმდა ინფრასტრუქტურა. მან აღნიშნა, რომ 144 სტუდენტის მიღება დაგეგმილია ორ ეტაპად (საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებები – თითოეულზე 72 სტუდენტი), რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დატვირთვას. ექსპერტის განმარტებით, პრაქტიკული მეცადინეობებისას ჯგუფები (მაქსიმუმ 25 სტუდენტი) საჭიროების შემთხვევაში იყოფა ქვეჯგუფებად, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის ჩართულობას სამაშველო ოპერაციებისა თუ სხვა პრაქტიკული დავალებების შესრულებაში.

ექსპერტმა ნათია მაწკეპლაძემ, დაამატა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ცხრილები ითვალისწინებს ექვსდღიან სასწავლო გრაფიკს ორ ცვლაში. მან ხაზი გაუსვა, რომ პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა ადეკვატურია და მათი დატვირთვა შეესაბამება შრომის კოდექსის მოთხოვნებს, ხოლო მოდულებში ინტეგრირებული პრაქტიკული კომპონენტები გადანაწილებულია სხვადასხვა გარემოსა და პრაქტიკის ობიექტებს შორის.

საბჭოს მდივნის, ნათია ბუთხუზის, დამატებით კითხვაზე პრაქტიკოსი მასწავლებლების სამუშაო საათებისა და სასწავლო ბადის ბუნდოვანების შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიკო ყულეჯიშვილმა, განმარტა, რომ საცურაო აუზი აღჭურვილია 24 ადამიანზე გათვლილი სამაშველო ტივითა და შესაბამისი ინვენტარით. მისი თქმით, უსაფრთხოების მოდულის პრაქტიკული ნაწილი მხოლოდ 13 საკონტაქტო საათს მოიცავს და პროგრამებს შორის დროში თანაკვეთა არ ხდება. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს 7 ერთეული „A“ გარემო და 4 ერთეული „AC“ გარემო, რაც ჯამში 280 სტუდენტის გამტარუნარიანობას უზრუნველყოფს.
საკითხის განხილვაში ჩაერთო საბჭოს წევრი დავით ჯინჭარაძე, რომელმაც აღნიშნა საზღვაო სფეროს სპეციფიკა. მან განმარტა, რომ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მოდელ-კურსებისა და სააგენტოს სტანდარტების მიხედვით, პრაქტიკული წვრთნების ჩატარება შესაძლებელია მსმენელთა ეტაპობრივი დაყოფით, რაც სრულად შეესაბამება დადგენილ ნორმებს და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის გარანტიას.
საბჭოს წევრმა გოჩა გოგიტიძემ გამოთქვა სურვილი დაზუსტებულიყო გრაფიკები, რაზეც ექსპერტებმა და დაწესებულების წარმომადგენლებმა წარადგინეს დამატებითი არგუმენტაცია ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსის ოპტიმალური გადანაწილების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორისთვის „საგემბანე განყოფილების რიგითი – მატროსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა: შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორს (ს/კ: 245624819) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების რიგითი – მატროსი“ **(დანართი 1)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 6 თებერვალი.

მეორე საკითხი: შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორისთვის „სამანქანე განყოფილების რიგითი – მოტორისტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია მაწკეპლაძემ საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 1 დეკემბრის №1704831 (ცვლილება №1820832 22.12.2025, ცვლილება №19952 14.01.2026) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამანქანე განყოფილების რიგითი – მოტორისტი“ დამატების ფარგლებში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგის შესაბამისად, 2026 წლის 17 იანვარს განხორციელდა ვიზიტი შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრი ეკვატორში, მისამართზე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. №33, 35; ბათუმგორის ჩიხი №2. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, დამფუძნებელს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს. ასევე განხორციელდა სასწავლო გარემოს, ბიბლიოთეკის, მატერიალური რესურსებისა და პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი – შეფასდა შესაბამისად. თუმცა, გაცემული იქნა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია: პროგრამის ხელმძღვანელის „სამუშაო აღწერილობა“ განსაზღვრავს მისთვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის და არანაკლებ 3-წლიანი სამუშაო გამოცდილების ან 1-წლიანი პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას. აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ანალოგიურია პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის დადგენილი მოთხოვნებისა. სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვისა და დაკორექტირების შესაძლებლობა, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციური დატვირთვისა და პასუხისმგებლობების მოცულობის გათვალისწინებით, ვინაიდან აღნიშნული პოზიცია მოითხოვს უფრო ფართო მართვით, საკოორდინაციო და ხარისხთან დაკავშირებულ კომპეტენციებს, ვიდრე პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიცია.

ინდიკატორი 2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში – შეფასდა შესაბამისად. თუმცა, გაცემული იქნა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებაში წარმოდგენილია პროფესიული მასწავლებლების მიერ შემუშავებული „რიდერები“, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად. სასურველია, აღნიშნული სასწავლო მასალების შემუშავება და განახლება განხორციელდეს სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად ჩართულნი იქნებიან პროგრამის ხელმძღვანელი და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს „რიდერების“ შინაარსის სისტემატურ გადახედვას, დარგში მიმდინარე ცვლილებების დროულ ასახვას და სასწავლო მასალების პრაქტიკულ მოთხოვნებთან მეტად შესაბამისობას, რაც პოზიტიურად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე.

საგანმანათლებლო პროგრამის „სამანქანე განყოფილების რიგითი – მოტორისტი“ წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და მიზნად ისახავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში. პროგრამა, რომელიც რეგისტრირებულია სწავლის დეტალური სფეროს 1041 კოდით, ოფიციალურად დამტკიცებულია 2025 წლის 24 ოქტომბრის N20388 აქტით. საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება ქართულ ენაზე და მისი განხორციელების გეოგრაფიულ არეალად განსაზღვრულია ქალაქი ბათუმი, კერძოდ, შავშეთის ქუჩა N33, 35 და ბათუმგორის ჩიხი N2, რაც ხაზს უსვამს დაწესებულების სტრატეგიულ მდებარეობას საზღვაო ინდუსტრიის ცენტრში. პროგრამის სტრუქტურა და განხორციელების მეთოდოლოგია ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების ათვისებაზე, რისთვისაც შერჩეულია სწავლების კოოპერაციული ფორმა რეალურ სამუშაო გარემოში. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 140 ერთეულს. პროგრამა არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, რაც აისახება კრედიტების განაწილების სქემაშიც. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობა განსაზღვრულია 67 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, გათვალისწინებულია 97 კრედიტი.

პროგრამა სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიას, რომელიც ორიენტირებულია მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი საზღვაო მომსახურების სფეროს კადრების მომზადებაზე. პროგრამის აქტუალობასა და მიზანშეწონილობას განაპირობებს მისი შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რასაც ადასტურებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და ბათუმის, როგორც რეგიონული ლოგისტიკური ცენტრის, სტრატეგიული მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სასწავლო გარემოებების დეტალურ აღწერასა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. დაწესებულებამ წარმოადგინა მრავალმხრივი ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის სასწავლო სივრცეებს. კერძოდ, პროგრამის განკარგულებაშია ორი A ტიპის თეორიული სასწავლო გარემო, რომლებიც გათვლილია 38 და 21 პროფესიულ სტუდენტზე, ასევე ორი დამატებითი საერთო სივრცე 25-25 სტუდენტისათვის. თითოეული მათგანი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით, ინტერნეტითა და ციფრული დემონსტრირების ხელსაწყოებით. კომპიუტერული მომზადებისთვის გამოყოფილია ორი B ტიპის გარემო 20 და 10 სტუდენტზე, ხოლო თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოიყენება ორი AC ტიპის სივრცე. პრაქტიკული უნარების გამომუშავება ხორციელდება სპეციალიზებულ გარემოებში, როგორიცაა სამედიცინო კაბინეტი, 12 სტუდენტზე გათვლილი სახელოსნო, 24-კაციანი გამტარუნარიანობის მქონე საცურაო აუზი და ხანძართან ბრძოლის პრაქტიკული წვრთნის სპეციალური C ტიპის გარემო. პროგრამის განხორციელების მდგრადობას უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალი და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. სასწავლო პროცესში ჩართულია 23 პროფესიული მასწავლებელი, რომელთაგან 18 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. დაწესებულება იცავს მკაცრ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც გულისხმობს მასწავლებელთა მინიმუმ სამწლიან სამუშაო ან ერთწლიან პედაგოგიურ გამოცდილებას. ამასთან, პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავებისა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც მოიცავს როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ რესურსებსა და სპეციალურად მომზადებულ რიდერებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული ფორმით რეალურ სამუშაო გარემოში, რისთვისაც ცენტრს გაფორმებული აქვს 6-წლიანი ხელშეკრულებები ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან.

ექსპერტმა მიმოიხილა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ფინანსური სტაბილურობის საკითხები. პროგრამის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურ და სანდო ინსტრუმენტებს, რომლებიც გადიან ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების დონეზე. სტუდენტთა შეფასების მონაცემები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისა და პროგრამის მოდიფიცირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სსსმ პირთათვის, საზღვაო სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლება დასაშვებია მხოლოდ მკაცრი სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ, რაც შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმებს. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა რენტაბელურია 24 სტუდენტის მიღების შემთხვევაში, რაც სრულად უზრუნველყოფს მის მდგრადობას ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამა „სამანქანე განყოფილების რიგითი – მოტორისტი“ სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, რაც საფუძველს იძლევა პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 140 ერთეულით განისაზღვროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს სასწავლო გარემოს (C გარემო) სტუდენტთა რაოდენობასთან თავსებადობის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად ექსპერტთა დასკვნისადმი ნდობისა, პრაქტიკული კომპონენტისთვის განკუთვნილი გარემოს ბუნდოვანება კვლავ რჩება განხილვის საგნად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ განმარტა, რომ კოლეჯის წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა დაადასტურეს პროგრამის სპეციფიკური მიდგომა, რაც ხსნის აღნიშნულ ბუნდოვანებას. შესაბამისად, საბჭო დაეყრდნო ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ განმარტებებს.

ელენე კაკაბაძემ ყურადღება გაამახვილა 2.2.1.4 ინდიკატორზე გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხება პროგრამის ხელმძღვანელისა და მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების გამიჯვნას. საბჭოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს საკვალიფიკაციო მოთხოვნა (ფორმალური კრიტერიუმი) და ფუნქციები. მისი პოზიციით, პროგრამის ხელმძღვანელსა და მასწავლებელს შესაძლოა ჰქონდეთ იდენტური ფორმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო მათი განსხვავება უნდა ხდებოდეს უშუალოდ მართვით და ხარისხის უზრუნველყოფის კომპეტენციების საფუძველზე. თავმჯდომარემ გამოთქვა ვარაუდი, რომ ზედმეტად მაღალი მოთხოვნების დაწესებამ შესაძლოა კოლეჯს კადრების მოძიების პროცესში სამართლებრივი და პრაქტიკული ბარიერები შეუქმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია მაწკეპლაძემ დაადასტურა, რომ არსებული პერსონალი სრულად აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა რეკომენდაცია გაიცა ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, რათა პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევისას უპირატესობა დარგობრივ გამოცდილებას მიენიჭოს.

დარგის ექსპერტმა, ნინო გორგოშაძემ დააზუსტა რეკომენდაციის საფუძველი და აღნიშნა, რომ საზღვაო სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდეს „ოფიცრის რანგში“ მუშაობის გამოცდილება. მისი განმარტებით, აღნიშნული

გამოცდილება ხელმძღვანელს დაეხმარება პროგრამის უკეთ განვითარებასა და თანამედროვე ტექნოლოგიური საჭიროებების (მაგ. პრაქტიკული ინვენტარის განახლება) დროულ იდენტიფიცირებაში.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ დასვა კითხვა, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი საკვალიფიკაციო მოთხოვნებში საბაკალავრო განათლების დონის პირდაპირი მითითება. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ვინაიდან პროგრამა „რიგითი მეზღვაურის“ მომზადებას ეხება, მასწავლებლად შესაძლოა გამოცდილი პირიც განიხილებოდეს, თუმცა ხელმძღვანელისთვის მაინც მნიშვნელოვანია დამატებითი გამოცდილების ან რანგის მოთხოვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიუხედავად ტერმინოლოგიური განსხვავებისა, ექსპერტის პოზიცია გასაგებია, თუმცა კოლეჯისთვის რისკების შემცველი.

ელენე კაკაბაძემ ასევე განიხილა 2.2.1.5 ინდიკატორთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რომელიც რიდერების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებას ეხება. მან დააზუსტა, რომ აღნიშნული წარმოადგენს ხარისხის განვითარების „კარგ პრაქტიკას“ და არა ინდიკატორის პირდაპირ სავალდებულო მოთხოვნას, ვინაიდან მასწავლებელს ინდივიდუალურადაც აქვს რიდერის მომზადების უფლება.

დარგის ექსპერტმა, ნინო გორგოშაძემ განმარტა, რომ რეკომენდაცია განპირობებულია საზღვაო ტერმინოლოგიის სირთულით. ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკოსი მასწავლებლები იყენებენ დამკვიდრებულ რუსულენოვან ან ინგლისურენოვან ტერმინებს, რაც საჭიროებს ტექნიკურ და შინაარსობრივ გამართვას ქართულ ენაზე. ექსპერტის განმარტებით, სამუშაო ჯგუფში ფილოლოგის ან სხვა სპეციალისტების ჩართულობა უზრუნველყოფს სასწავლო მასალის მაღალ ხარისხს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორისთვის“ „სამანქანე განყოფილების რიგითი – მოტორისტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა: შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორს (ს/კ: 245624819) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამანქანე განყოფილების რიგითი – მოტორისტი“ **(დანართი 2).** გ ადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 6 თებერვალი.

მესამე საკითხი: შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლისთვის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზაირა ბერიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 დეკემბრის №806369 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 16 იანვარს, შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლაში (მისამართი: ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი №38) განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – “გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია” – დამატების შესაბამისობის შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან. ვიზიტის დაწყებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და შეიმუშავა დღის წესრიგი. დღის წესრიგის შესაბამისად, შედგა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება;

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული მექანიზმების შესწავლა/განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლა/განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება და გასაუბრება ბიბლიოთეკართან; პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით პარტნიორ ობიექტებთან ვიზიტი და გასაუბრება შესაბამის პირებთან. ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში. პროგრამის სამართლებრივი ლეგიტიმაცია ეფუძნება დაწესებულების პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 19 სექტემბრის N7 ოქმით მიღებულ გადაწყვეტილებას. სწავლის დეტალური სფეროს კოდი განსაზღვრულია 1041-ით, რაც სრულად შეესაბამება დარგობრივ კლასიფიკატორს. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ენა არის ქართული, ხოლო ფიზიკურ მისამართად განსაზღვრულია ქალაქი ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N38. პროგრამის განხორციელების ფორმა ითვალისწინებს სწავლებას რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული მოდელით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების სინთეზს უშუალოდ საწარმოო ობიექტებზე, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური საზღვაო კადრების მოსამზადებლად. პროგრამის მოცულობა და კრედიტების განაწილება მორგებულია სტუდენტთა სხვადასხვა კატეგორიასა და სწავლების სპეციფიკას. კერძოდ, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმა მოიცავს 95 კრედიტს, ხოლო არაინტეგრირებული – 67 კრედიტს. არაქართულენოვანი სტუდენტების შემთხვევაში, მოცულობა შედარებით მაღალია და განისაზღვრება 125 კრედიტით ინტეგრირებული გეგმისათვის, ხოლო 97 კრედიტით – არაინტეგრირებული გზით სწავლებისას. აღნიშნული სტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, პროგრამამ მოიცვას როგორც პროფესიული, ისე ზოგადი კომპეტენციები. დაწესებულების მიერ მოთხოვნილია სულ 220 ადგილი კოოპერაციული სწავლებისათვის, საიდანაც 60 ადგილი გამოიყოფა ინტეგრირებული ზოგადი მოდულების მქონე სასწავლო გეგმაზე სწავლის მსურველთათვის.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ეფუძნება სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიასა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს. პროგრამის ინიცირება სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ ხედვასთან, რაც ითვალისწინებს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას საზღვაო სექტორში. მიზანშეწონილობის დასაბუთება გამყარებულია კონცეპტუალური, რესურსული და ეკონომიკური შეფასებებით, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას, მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში – საბაზო განათლება, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 280 ერთეულით, მათ შორის 60 ადგილი განკუთვნილია ინტეგრირებული პროგრამისთვის. აღნიშნული რაოდენობა ეფუძნება A, B და C ტიპის სასწავლო გარემოებში სამუშაო ადგილების რაციონალურ განაწილებასა და პედაგოგიური პერსონალის დატვირთვის ანალიზს. სწავლება დაგეგმილია ორ ცვლაში, რაც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის ოპტიმალურ გამოყენებას. ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ სკოლას გააჩნია შესაბამისი სიმულაციური აღჭურვილობა და მატერიალური რესურსები, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტები რეალურ სამუშაო გარემოში დაეუფლებიან პროფესიულ უნარებს. პროგრამის მდგრადობას განაპირობებს 35 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

სასწავლო პროცესის ორგანიზების ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმაში საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოს საათების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ. დაწესებულებამ ოპერატიულად გაითვალისწინა აღნიშნული შენიშვნა და ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა განახლებული სასწავლო გეგმა, სადაც საათების განაწილება კვირების მიხედვით გამჭვირვალედ არის ასახული. პროგრამის ფარგლებში დანერგილია კოოპერაციული სწავლების მოდელი, რაც გულისხმობს მჭიდრო თანამშრომლობას საზღვაო ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მეთოდოლოგიური რესურსებით, ხოლო ბიბლიოთეკა, რომელიც სარგებლობს Open Biblio-ს სისტემით, უზრუნველყოფს სტუდენტთა წვდომას საჭირო ლიტერატურაზე როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინკლუზიური განათლებისა და ფინანსური მდგრადობის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთა მხარდაჭერის მექანიზმები, ექსპერტმა განმარტა, რომ საზღვაო ფლოტის სპეციფიკიდან გამომდინარე, საერთაშორისო კონვენციები (STCW) და საქართველოს კანონმდებლობა აწესებს მკაცრ ჯანმრთელობის სტანდარტებს, რის გამოც პროგრამაზე დაშვება ხდება მხოლოდ სპეციალური სამედიცინო ცნობის საფუძველზე. ფინანსური თვალსაზრისით, წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 15 სტუდენტით, რაც სკოლის მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, რეალისტურ მაჩვენებელს წარმოადგენს.

შეფასების სისტემა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შეფასდა, როგორც ვალიდური და ობიექტური. სკოლაში მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის სისტემა, რომელშიც ჩართულნი არიან როგორც განათლების, ისე დარგის სპეციალისტები. შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და მტკიცებულებები ინახება სამი წლის ვადით, ხოლო შედეგების ანალიზი სისტემატურად გამოიყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების მეთოდების გაუმჯობესებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, წარმოდგენილი პროგრამა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის ყველა ინდიკატორს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა პროგრამის ხელახალი წარმოდგენის ფარგლებში სტუდენტთა კვოტის ცვლილების საკითხით. კერძოდ, მან დასვა კითხვა, სტანდარტის გადამუშავების ახალი განაცხადით გაიზარდა თუ არა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ,

ზაირა ბერიძემ განმარტა, რომ პროგრამა წარმოდგენილია ინტეგრირებული მოდულების დამატებით, თუმცა სტუდენტთა საერთო კვოტა არ შეცვლილა. მისი ინფორმაციით, ჯამური ადგილების რაოდენობა შეადგენს 60-ს, რაც ორ მიღებაზეა გადანაწილებული. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სიახლე მხოლოდ ინტეგრირებული კომპონენტის დამატებას ეხება და არა რაოდენობრივ ზრდას. ნათია ბუთხუზმა, ასევე, დასვა კითხვა მილევად პროგრამებზე მყოფი სტუდენტების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ამ ეტაპზე კოლეჯში ნამდვილად ირიცხებიან სტუდენტები, რომლებიც სწავლებას მილევადი პროგრამების ფარგლებში გადიან. საბჭოს მდივანი შემდგომ დაინტერესდა, განხორციელდა თუ არა ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში აღნიშნულ სტუდენტებთან გასაუბრება. ზაირა ბერიძემ განმარტა, რომ ვინაიდან ვიზიტის მიზანს პროგრამის დამატება წარმოადგენდა, სტუდენტებთან ფორმალური შეხვედრა პროტოკოლით გათვალისწინებული არ ყოფილა. შესაბამისად, აღნიშნული აქტივობა არ ასახულა არც ექსპერტთა დასკვნაში და არც პრეზენტაციაში. თუმცა, მან იქვე დასძინა, რომ სასწავლო აუდიტორიების დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა სტუდენტებთან არაფორმალური, ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციის შესაძლებლობა ლექციების მიმდინარეობის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლისთვის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე, 62-ე მუხლების შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა: შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლას (ს/კ: 248417896) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 6 თებერვალი.

საბჭოს წევრი ხათუნა ცერცვაძე შემოუერთდა სხდომას.

მეოთხე საკითხი: შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლისთვის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზაირა ბერიძემ საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 დეკემბრის №806372 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 15 იანვარს, შპს „მახინჯაურის საზღვაო სკოლაში“ (მისამართი: ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი №38) განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ – დამატების შესაბამისობის შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან. ვიზიტის დაწყებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და შეიმუშავა დღის წესრიგი. დღის წესრიგის შესაბამისად, შედგა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული მექანიზმების შესწავლა/განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლა/განხილვა და

ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება და გასაუბრება ბიბლიოთეკართან; პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით პარტნიორ ობიექტებთან ვიზიტი და გასაუბრება შესაბამის პირებთან. ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში.

„საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ მეოთხე დონის პროფესიულ პროგრამის განხორციელება დაგეგმილია ქალაქ ბათუმში, მახინჯაურის დასახლებაში, თამარ მეფის გამზირის N38-ში მდებარე სასწავლო ბაზაზე. საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება ქართულ ენაზე, თუმცა პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს არაქართულენოვანი სტუდენტების საჭიროებებსაც. მნიშვნელოვანია აღინიშნოს სწავლების ფორმატი, რომელიც გულისხმობს რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციულ მიდგომას. აღნიშნული მოდელი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, თეორიული ცოდნა უშუალოდ პრაქტიკული საქმიანობის პროცესში, პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე განიმტკიცონ, რაც საზღვაო სფეროში პროფესიული კომპეტენციების გამომუშავების ყველაზე ეფექტიანი გზაა. ექსპერტმა დეტალურად მიმოიხილა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისა და კრედიტების განაწილების საკითხი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილია სტუდენტთა საერთო რაოდენობის განსაზღვრა 280 ერთეულით, საიდანაც 60 ადგილი განკუთვნილია იმ სასწავლო გეგმისათვის, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. აკადემიური მოცულობა დიფერენცირებულია სტუდენტთა ენობრივი ჯგუფებისა და სასწავლო გეგმის ტიპის მიხედვით. კერძოდ, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის ინტეგრირებული გეგმა 100 კრედიტს მოიცავს, ხოლო არაინტეგრირებული – 72 კრედიტს. არაქართულენოვანი სტუდენტების შემთხვევაში, მოცულობა იზრდება და შესაბამისად 130 და 102 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტის განხილვისას აღინიშნა, რომ შპს „მახინჯაურის საზღვაო სკოლაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება ხორციელდება დადგენილი შიდა მეთოდოლოგიისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად. პროგრამის – „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ – ინიცირება ეფუძნება საფუძვლიან დასაბუთებას, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის საჭიროებებს, სკოლის მისიასა და სტრატეგიულ ხედვას. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ მიღებულია კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური და ოპერაციული შეფასებების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ პერსპექტივას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სრულ თანხვედრაშია კანონმდებლობასთან. კერძოდ, სტანდარტულ პროგრამაზე დაშვების საფუძველია სრული ზოგადი განათლება, ხოლო საშუალო პროფესიულ პროგრამაში ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში – საბაზო ზოგადი განათლება. დაწესებულებამ განსაზღვრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 280 ადგილის ოდენობით, საიდანაც 60 ადგილი ეთმობა ინტეგრირებულ პროგრამას. სტუდენტთა მიღება დაგეგმილია ორ ნაკადად, ორცვლიანი სასწავლო გრაფიკით, რაც სრულად შეესაბამება არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებს, მათ შორის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოებს.

მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ სკოლა ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საჭირო ინფრასტრუქტურას. სიმულაციური აღჭურვილობა (C გარემო) და პარტნიორი

ორგანიზაციების პრაქტიკის ბაზები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას. პროგრამის მდგრადობას განამტკიცებს კვალიფიციური პერსონალი – სულ 36 მასწავლებელი, მათ შორის 13 დარგობრივი სპეციალისტი. აღსანიშნავია, რომ პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის საერთო კოორდინაციასა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზების ნაწილში, ექსპერტთა რეკომენდაციით, მოხდა სასწავლო გეგმის მოდიფიცირება. განახლებულ გეგმაში მკაფიოდ გაიმიჯნა საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოს საათები, რაც პროცესს უფრო გამჭვირვალეს ხდის. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით, რაც გულისხმობს რეალურ სამუშაო გარემოში (საზღვაო პრაქტიკა) სწავლების აქტიურ გამოყენებას. უსაფრთხოების ნორმები დაცულია საერთაშორისო საზღვაო სტანდარტების (STCW კონვენცია) შესაბამისად, ხოლო სსსმ პირებისთვის დაწესებულია სპეციფიკური სამედიცინო მოთხოვნები (ფორმა №086/100), რაც განპირობებულია გემზე მუშაობის განსაკუთრებული პირობებით.

შეფასებისა და განვითარების სისტემა დაწესებულებაში ეყრდნობა ვალიდურობისა და სანდოობის პრინციპებს. მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის, ხოლო მტკიცებულებები და უწყისები ინახება დადგენილი ვადებით (3 წელი/მუდმივად). საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც ასახულია Open Biblio ელექტრონულ კატალოგში, სრულად ფარავს პროგრამის საჭიროებებს და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. აღინიშნა, რომ პროგრამის შინაარსი, სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე დაინტერესდა საზღვაო პროფილის პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე რისკების წინასწარი იდენტიფიცირების საკითხით. მან კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, გამოიკვეთა თუ არა შეფასების პროცესში ისეთი კომპონენტები, რომლებიც რისკის შემცველად ჩაითვალა და რამდენად ადეკვატურია დაწესებულების მიერ შემუშავებული სამართავი მექანიზმები. ავტორიზაციის ექსპერტმა, ზაირა ბერიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას გააჩნია მყარი გამოცდილება საზღვაო მიმართულებით როგორც პროფესიული, ისე უმაღლესი განათლების დონეზე. მისი თქმით, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას რისკების პრევენციისთვის გამოიყენება კომპლექსური მიდგომა, რაც მოიცავს სტუდენტთა წინასწარ ინსტრუქტაჟს, მათ ეტაპობრივ ჩართვას სასწავლო პროცესში და პრაქტიკის ობიექტებზე მკაცრ ზედამხედველობას. ექსპერტმა დააზუსტა, რომ უსაფრთხოების მექანიზმები გაწერილია ერთიან, ინტეგრირებულ დოკუმენტში, სადაც დეტალურად არის ასახული დარგობრივი და პროფილური სპეციფიკა. მან დაადასტურა, რომ დაწესებულების მზაობა რისკების მონიტორინგისა და მართვის კუთხით სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა წარმოდგენილი ორი პროგრამის შეფასებისას გამოყენებული ლოგიკისა და მათ შორის არსებული არსებითი განსხვავებების შესახებ. კერძოდ, თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ ხდება სტუდენტთა ნაკადების გამიჯვნა და კომპეტენციების დიფერენცირება იმ პირობებში, როდესაც პრაქტიკის ობიექტები იდენტურია. ზაირა ბერიძემ განმარტა, რომ მიუხედავად ერთიანი პრაქტიკის ობიექტისა, პროგრამები შინაარსობრივად და ფუნქციურად მკვეთრად არის გამიჯნული. კერძოდ, საუბარია საგემბანე და სამანქანე განყოფილებებზე, რომლებიც წარმოადგენს აბსოლუტურად განსხვავებულ სივრცეებსა და მიმართულებებს. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული გამიჯვნა გამორიცხავს სასწავლო პროცესში რაიმე სახის შეფერხებას ან გადაკვეთას. ასევე, ხაზი გაესვა პერსონალის შერჩევის პრინციპს: პედაგოგიური შემადგენლობა დაკომპლექტებულია

თითოეული პროგრამის სპეციფიკური კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლისთვის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე, 62-ე მუხლების შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა: შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლას (ს/კ: 248417896) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 4).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 6 თებერვალი.

მეხუთე საკითხი: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ხათუნა ჩხარტიშვილს ჰქონდა აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო რამიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 14 ნოემბრის № MES 7 25 0001615787 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 2,3 და 4 დეკემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს მრავალპროფიალიან საზოგადოებრივ კოლეჯში „იმედი“(ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, No47-49/ ბოჭორმის №8). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სივრცეების დათვალიერება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენლებთან გასაუბრებას. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

წარმოების ფარგლებში ხარვეზები არ გამოვლენილა; სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯის „იმედი“ საუკეთესო გამოცდილებად მიჩნეულ იქნა, დაწესებულებაში არსებული „საბავშვო სივრცე“. კოლეჯში გააქტიურებულია, მხარდაჭერის მექანიზმი იმ სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის, რომლებიც შეფასების პროცესში ან სხვა გადაუდებელ სიტუაციებში ხვდებიან ისეთ მდგომარეობაში, როდესაც ბავშვის დატოვების ალტერნატიული შესაძლებლობა არ აქვთ. ამ მიზნით, შექმნილია დროებითი საბავშვო სივრცე, რომელიც არ წარმოადგენს ყოველდღიური მოვლის დაწესებულებას, არამედ ფუნქციონირებს როგორც დამატებითი სოციალური მხარდაჭერის ინსტრუმენტი განსაკუთრებული შემთხვევების დროს.

სივრცე მოეწყო უსაფრთხოების და ხელმისაწვდომობის ძირითადი სტანდარტების გათვალისწინებით. მუშაობის პროცესს კოორდინაციას უწევს სპეციალურად დანიშნული საბავშვო სივრცის კოორდინატორი, რომლის პასუხისმგებლობაა გარემოს გამართული ფუნქციონირება, წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ბავშვების ასაკის შესაბამისი მშვიდი საქმიანობების ორგანიზება და მშობლებთან კომუნიკაცია. მექანიზმი მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასების პროცესში მონაწილე სტუდენტებისა და თანამშრომლების სტრესს და ზრდის მათი წესების შესაბამისად ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული პრაქტიკა, ასახავს კოლეჯის დამოკიდებულებას სოციალური პასუხისმგებლობისადმი და უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს ხელმისაწვდომობას, რაც თვითშეფასების ჭრილში პოზიტიურად აისახება როგორც მხარდაჭერის, ისე თანასწორი პირობების შექმნის მიმართულებით.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 5.2.2.2 – განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, დაწესებულებამ, დოკუმენტბრუნვის პროცედურები განახორციელოს სრულად ელექტრონულად, რადგან იყენებს ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემას ,,eflow”.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილიან ერთეულს, რომლის ძირითადი მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. მისიით გათვალისწინებულია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა. კოლეჯის საქმიანობა ორიენტირებულია არა მხოლოდ თეორიული ცოდნის გადაცემაზე, არამედ რეალურ ბიზნესთან მყარი პარტნიორობის განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ჰარმონიზაციას ბაზრის საჭიროებებთან. პერსონალთან გასაუბრებამ და შიდა კვლევებმა დაადასტურა, რომ მისია ლაკონურია, ნათლად ჩამოყალიბებული და გააზრებული ყველა სამიზნე ჯგუფის მიერ. დაწესებულების საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანასწორობის პრინციპს. კოლეჯი უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის. ეს მიდგომა განასხვავებს მას სხვა პროფესიული სასწავლებლებისგან და ხაზს უსვამს მის როლს სოციალურ ინტეგრაციაში. კოლეჯი მუდმივად იკვლევს დამსაქმებელთა კმაყოფილებას, რაც საშუალებას აძლევს მას, სწორად დაგეგმოს პროგრამები და სტუდენტები რეალურ სამუშაო გარემოში ჩართოს. მისიით განსაზღვრული ეს მიმართულებები სრულ თანხვედრაშია საქართველოს პროფესიული განათლების სახელმწიფო მიზნებთან. კოლეჯის ხედვა მიზნად ისახავს 2026-2027 წლებისთვის წამყვან მრავალპროფილიან კოლეჯად ჩამოყალიბებას, რაც დაეფუძნება ბიზნეს სექტორთან მყარ პარტნიორობას. დაწესებულების ღირებულებები – სამართლიანობა, ჰუმანიზმი, კონკურენტუნარიანობა და ინოვაცია – ქმნის საფუძველს ისეთი გარემოსთვის, სადაც ყველას აქვს თვითგამოხატვისა და ხარისხიანი განათლების მიღების თავისუფლება. ინოვაციების დანერგვა და თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საჭიროებებთან სინთეზი კოლეჯის განვითარების უმთავრესი პრიორიტეტია. მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა, განთავსებულია კოლეჯის ფოიეში და ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების მუდმივ ინფორმირებულობასა და ჩართულობას სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში. დაწესებულებაში დანერგილია დაგეგმვის ეფექტური პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას“. დოკუმენტი განსაზღვრავს შვიდწლიანი ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების წესს. დაგეგმვის პროცესი არის თანამონაწილეობითი და მასში ჩართულია კოლეჯის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, სტუდენტები და დამსაქმებლები. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება SWOT ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა, სწორად შეფასდეს შიდა რესურსები და გარე შესაძლებლობები. 2020-2027 წლების სტრატეგია მოიცავს ექვს

ძირითად მიზანს: ორგანიზაციული განვითარება, საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა, რესურსების მოდერნიზაცია, სტუდენტთა მხარდაჭერა, უსაფრთხო გარემო და საზოგადოებასთან ურთიერთობა. გეგმების შესრულება კონტროლდება მონიტორინგისა და შეფასების სისტემით, რომელიც სტრატეგიული მართვის განუყოფელი ნაწილია. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ – შუალედური ზეპირსიტყვიერი და საბოლოო წერილობითი ანგარიშგების სახით. კოლეჯი სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე: ნებისმიერი შეუსაბამობის ან შეფერხების აღმოჩენის შემთხვევაში ხდება გეგმების კორექტირება, ვადების ცვლილება ან არაეფექტური აქტივობების ამოღება. ეს მოქნილობა უზრუნველყოფს პროცესების უწყვეტობას და ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. პასუხისმგებელი პირები მკაფიოდ არიან განსაზღვრული, რაც გამორიცხავს ფუნქციების გადაფარვას და ზრდის მართვის ეფექტურობას. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე. ყოველწლიური კომპლექსური შეფასების შედეგები ზიარდება პარტნიორებთან და შიდა საინფორმაციო არხებით, რაც აძლიერებს დაინტერესებული მხარეების ნდობას. კოლეჯის მიერ დანერგილი ეს პრაქტიკა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს და ადასტურებს დაწესებულების მზაობას, მინიმუმამდე დაიყვანოს სტრატეგიული გადახვევები და მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი პოტენციალი საგანმანათლებლო სივრცეში.

მესამე სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა განიხილა კოლეჯში მოქმედი შიდა რეგულაციები, რომლებიც მიზანმიმართულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უფლებათა დაცვასა და კანონით გათვალისწინებული გარანტიების რეალიზებას. დაწესებულებაში დამტკიცებულია ისეთი ფუნდამენტური დოკუმენტები, როგორიცაა „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, „მხარდაჭერის მექანიზმები“, „ეთიკის კოდექსი“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“. აღნიშნულ დოკუმენტებში დეტალურად არის გაწერილი სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენისა და ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირადი საქმეებისა და ხელშეკრულებების გადამოწმებით დადასტურდა, რომ ყველა შიდა ნორმატიული აქტი სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ქმნის უსაფრთხო, სამართლიან საგანმანათლებლო გარემოს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტების ინფორმირებულობას. ხელშეკრულების გაფორმებამდე ადმინისტრაცია სტუდენტებს (ხოლო არასრულწლოვნების შემთხვევაში – მათ კანონიერ წარმომადგენლებს) დეტალურად განუმარტავს სწავლების პირობებს, უფლება-მოვალეობებსა და შიდა რეგულაციებს. ყოველი სასწავლო წელი იწყება საორიენტაციო შეხვედრებით, სადაც სტუდენტები ეცნობიან ინფრასტრუქტურასა და პროგრამების განხორციელების მიდგომებს. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ისინი კარგად იცნობენ ინტერესების დაცვის მექანიზმებს და აქტიურად იყენებენ მათ საჭიროების შემთხვევაში. კოლეჯის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. სტუდენტები წინასწარ არიან ინფორმირებულნი შეფასების კრიტერიუმების, მინიმალური მოთხოვნებისა და გასაჩივრების (აპელაციის) წესების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში აპელაციის მექანიზმის გამოყენება ხშირი არ არის, სტუდენტები ფლობენ სრულ ინფორმაციას ამ პროცედურის თაობაზე. ხელშეკრულება კოლეჯსა და სტუდენტს შორის წარმოადგენს სამართლებრივ გარანტიას, რომელიც იცავს აკადემიურ თავისუფლებას, კრძალავს დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება კოლეჯის ერთ-ერთი პრიორიტეტია. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ), მობილობის ან სტატუსის აღდგენის შემთხვევებში. პროცესი მოიცავს სამუშაო ჯგუფის შექმნასა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას გეგმის მოდიფიცირებაში.

კოლეჯი ასევე სთავაზობს სტუდენტებს ინდივიდუალურ კონსულტაციებსა და მეცადინეობებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების სრულფასოვან მიღწევას. კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს მხარდამჭერ ღონისძიებებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ეს მოიცავს როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ კონსულტაციებს, სადაც სტუდენტები იღებენ უკუკავშირს თავიანთ პროგრესზე. პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, შეფასების შედეგები სტუდენტებს ეცნობებათ კონფიდენციალურად. გარდა აკადემიური მხარდაჭერისა, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან საინფორმაციო შეხვედრების ციკლის მეშვეობით, რომელიც მინიმუმ ექვს თვეში ერთხელ ტარდება. ადმინისტრაციული მხარდაჭერა არის მოქნილი და ბიუროკრატიული ბარიერებისგან თავისუფალი – სერვისების მიწოდება ხდება გონივრულ ვადებში, ხშირად მოთხოვნის დღესვე. დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს არაფორმალური განათლებისა და სტუდენტური ინიციატივების წახალისებას. ყოველწლიურად ტარდება კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები, მათ შორის შეხვედრები წარმატებულ პროფესიონალებთან, თემატური ექსკურსიები (მაგალითად, ვიზიტი მედიცინის ან ფულის მუზეუმში) და ეკომეგობრული აქტივობები. სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე კოლეჯი მუდმივად აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. ხარისხის მართვის მენეჯერი რეგულარულად ატარებს კმაყოფილების კვლევებს, ანონიმურ გამოკითხვებსა და ფოკუს-ჯგუფებს, რომელთა შედეგებიც აისახება საგანმანათლებლო პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში.
კოლეჯში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის ეფექტური მომსახურება, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც არსებული, ისე პოტენციური სტუდენტებისთვის. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროფორიენტაციის მენეჯერი სტუდენტებს ეხმარება რეზიუმესა (CV) და სამოტივაციო წერილის შედგენაში, გასაუბრების ტექნიკების ათვისებასა და ინდივიდუალური პორტფოლიოს ფორმირებაში. კოლეჯი მუდმივად აწვდის ინფორმაციას ვაკანსიებისა და დასაქმების ფორუმების შესახებ ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. ბევრი სტუდენტი დასაქმებულია უშუალოდ კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც ადასტურებს პროფესიული კავშირების ეფექტურობას.

დაწესებულება პერიოდულად ატარებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევებს დასაქმების სტატუსისა და მიღებული განათლების ხარისხის შესაფასებლად. კვლევის ფოკუსი მიმართულია იმის დადგენაზე, თუ რამდენად შეესაბამება სტუდენტების კომპეტენციები შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებს. 2024 წლის მონაცემებით, კურსდამთავრებულთა 76%-მა მიიღო მონაწილეობა უნარების სააგენტოს კვლევაში, სადაც დაფიქსირდა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი. კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირი გამოიყენება სერვისების ოპტიმიზაციისა და ახალი პარტნიორების მოსაზიდად, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა წარმატებულ ინტეგრაციას პროფესიულ სივრცეში.

მეოთხე სტანდარდზე საუბრისას ექსპერტმა ნინო რამიშვილმა განიხილა კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და განსაზღვრავს თითოეული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობებს. დაწესებულების სტრუქტურა მოიცავს ადმინისტრაციულ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელებს, კოორდინატორებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და დამხმარე პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებულმა სამუშაო აღწერილობებმა და პირადმა საქმეებმა დაადასტურა, რომ ფუნქციები მკაფიოდ არის გამიჯნული და თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრულია კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (განათლება, გამოცდილება, უნარები). ინტერვიუების პროცესში პერსონალმა გამოავლინა საკუთარი უფლებამოსილებების სრული გააზრება, რაც ხელს უწყობს კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტურ რეალიზებას. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სტრუქტურულ ერთეულებს შორის უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას. მაგალითად, ხარისხის

მართვის მენეჯერის ფუნქციებში პირდაპირაა გაწერილი კვლევების ჩატარება და ანალიზი, რაც ასახულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც (ამოცანა 1.2 – ხარისხის უზრუნველყოფა). პერსონალის საქმიანობა რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებებით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. პასუხისმგებლობების ასეთი მკაფიო დეფინიცია გამორიცხავს ფუნქციების გადაფარვას და უზრუნველყოფს ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელ მიმდინარეობას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა კოლეჯში ეფუძნება PDCA ციკლის (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე) პრინციპს. ხარისხის მართვის მენეჯერი პირდაპირ ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე, რაც უზრუნველყოფს მის ორგანიზაციულ დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას. ექსპერტთა ჯგუფმა ხაზი გაუსვა, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, ვინაიდან იგი მონაწილეობს მხოლოდ სტრატეგიულ დაგეგმვაში, ხოლო მონიტორინგისა და რეკომენდაციების გაცემისას ინარჩუნებს მიუკერძოებლობას. პერსონალის მართვის პროცესები კოლეჯში ხორციელდება „პერსონალის მართვის პოლიტიკისა“ და „შინაგანაწესის“ შესაბამისად. ეს დოკუმენტები ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსსა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონს. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა ორიენტირებულია ობიექტურობასა და გამჭვირვალობაზე. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება შიდა ბაზები და პარტნიორული რეკომენდაციები, სისტემა ითვალისწინებს ვაკანსიების საჯარო გამოქვეყნებისა და კონკურსის მექანიზმებს. ყველა დასაქმებული კადრის კვალიფიკაცია დეტალურად შემოწმდა და იგი სრულად შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს. ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. დირექცია, ადმინისტრაცია და მასწავლებლები ერთობლივად მონაწილეობენ სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, ინფრასტრუქტურის განახლებასა და სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების ინიცირებაში. შრომით ხელშეკრულებებში მკაფიოდ არის გაწერილი სამუშაო პირობები, ანაზღაურება და შვებულების წესები, რაც ქმნის სტაბილურ და მოტივირებულ სამუშაო გარემოს. კოლეჯის მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის მუდმივ ზრდაზე. ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ხდება ყოველწლიურად, ხოლო მასწავლებლების – მოდულის დასრულებისას. შეფასების მეთოდოლოგია მრავალფეროვანია და მოიცავს თვითშეფასებას, სტუდენტთა უკუკავშირსა და ხელმძღვანელის შეფასებას. კვლევის შედეგების საფუძველზე იგეგმება მიზნობრივი ტრენინგები. მაგალითად, ჩატარდა ტრენინგები ხელოვნური ინტელექტის როლზე ადმინისტრაციულ საქმიანობაში და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებაზე მასწავლებლებისთვის. დაწესებულება უზრუნველყოფს მასწავლებელთა კარიერულ წინსვლასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკას. ახალი თანამშრომლებისთვის მოქმედებს სოციალიზაციისა და ადაპტაციის პროგრამა, რომელსაც ადამიანური რესურსების მენეჯერი უწევს კოორდინაციას. ეს პროცესი მოიცავს კოლეჯის მიზნებისა და შინაგანაწესის გაცნობას, ასევე ინდივიდუალური ტრენინგ-გეგმის შედგენას საჭიროების შემთხვევაში. პერსონალის მოტივაციისთვის გამოიყენება წახალისების სხვადასხვა ფორმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდო (პრემია) და თანამდებობრივი დაწინაურება, რაც დადასტურდა პერსონალთან გასაუბრების შედეგად.

ექსპერტმა განიხილა კოლეჯის მატერიალური ბაზა, რომელიც განთავსებულია ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირზე (N47-49/ბოჭორმის №8). დაწესებულება მართლზომიერ მფლობელობაში ფლობს 755.94 ფართს, რომელიც იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს 2033 წლამდე, რაც მინიმუმ ავტორიზაციის ვადით საქმიანობის უზრუნველყოფის გარანტიაა. ინფრასტრუქტურა მოიცავს თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორიებს, თანამედროვე ლაბორატორიებს, კომპიუტერულ კლასებსა და ბიბლიოთეკას. შენობა სრულად არის აღჭურვილი ცენტრალური გათბობის სისტემით, უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით და მასში მკაცრად არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რასაც ორი დასუფთავების სპეციალისტი უზრუნველყოფს. დაწესებულებაში ფუნქციონირებს

შრომის უსაფრთხოების მექანიზმები, რაც დასტურდება ორ სერტიფიცირებულ კომპანიასთან თანამშრომლობით. სისტემატურად ტარდება რისკების შეფასება, პერსონალის ინსტრუქტაჟი და აღჭურვილობის შემოწმება. სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მარაგდება საჭირო მასალებითა და ნედლეულით „მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ კოლეჯის სივრცეები, მათ შორის სანიტარული კვანძები, სრულად ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებებზე. ბიბლიოთეკა მომხმარებლებს სთავაზობს როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ რესურსებს (მათ შორის CD დისკებს), რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და ხელმისაწვდომია ვებგვერდის მეშვეობითაც. პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოება დაწესებულების პრიორიტეტია. შენობის მდგრადობა და სახანძრო უსაფრთხოება დადასტურებულია შესაბამისი საექსპერტო დასკვნებით (შპს „საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების ცენტრი“ და შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიურო“). კოლეჯში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების პუნქტი, სადაც მორიგეობს კვალიფიციური ექთანი. უსაფრთხოებასა და წესრიგს მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი და შიდა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია შსს-ს შესაბამის სამსახურთან, რაც ქმნის გარანტიას კრიზისულ სიტუაციებში სწრაფი და კოორდინირებული რეაგირებისთვის. კოლეჯის IT ინფრასტრუქტურა პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს: ფუნქციონირებს ორი კომპიუტერული კლასი, უზრუნველყოფილია მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი (Wi-Fi) და კიბერუსაფრთხოების მონიტორინგი. დაწესებულება ახორციელებს IT რისკების მართვას და პერსონალურ მონაცემთა დაცვას, რისთვისაც მოწვეულია სპეციალური ოფიცერი ააიპ „ბიზნეს საქართველოდან“. პერსონალსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაცია მიმდინარეობს ერთიანი ელექტრონული სისტემით (ოფიციალური ელ-ფოსტა და დახურული ონლაინ ჯგუფები), რაც ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას უზრუნველყოფს. საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და „საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად. კოლეჯი იყენებს ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემას – „eflow“. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტბრუნვის დიდი ნაწილი ციფრულია, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია პროცესების სრულად ელექტრონულ ფორმატში გადატანის შესახებ. დაწესებულება ასევე სრულყოფილად ახდენს მონაცემების ასახვას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და მჭიდროდ თანამშრომლობს მაკონტროლებელ უწყებებთან. საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით კოლეჯი აქტიურად იყენებს ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებს. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ახლდება ყოველწლიურად და ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე. გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი, რაც ხელს უწყობს დაინტერესებული მხარეების მაღალ ინფორმირებულობას. საზოგადოებასთან კომუნიკაციის არხებიდან მიღებული უკუკავშირი სისტემატურად გამოიყენება მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. კოლეჯი ხასიათდება ფინანსური მდგრადობით, რაც ეფუძნება სტუდენტების ვაუჩერულ დაფინანსებასა და სწავლის გადასახადს. ფინანსური რესურსები სრულად ფარავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას, მათ შორის საოპერაციო ხარჯებს (კომუნალური გადასახადები, ინვენტარის შესყიდვა, ხელფასები). ბიუჯეტი იგეგმება რაციონალურად, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას ფინანსური რეზერვები გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას და ანგარიშებს წარადგენს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის პორტალზე. ბიუჯეტის ზრდის დინამიკა და ფინანსური მენეჯმენტის გამჭვირვალობა ადასტურებს, რომ კოლეჯს შესწევს ძალა სტაბილურად გააგრძელოს საგანმანათლებლო საქმიანობა და უზრუნველყოს მისი ხარისხის მუდმივი განვითარება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საფინანსო სერვისები“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სახელწოდებით „საფინანსო სერვისები“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0412) არის მესამე დონის. პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 04 მარტის №15 ბრძანებით, ხოლო ბოლო ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 27 სექტემბერს (ბრძანება №80). სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირზე №47-49. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად დაადასტურა პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა – 56 ადგილი. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 52 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის – 67 კრედიტს. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტის ანალიზისას აღინიშნა, რომ კოლეჯს დანერგილი აქვს მრავალეტაპიანი მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ბაზრის კვლევასა და სამუშაო ჯგუფების ფორმირებას. გადაწყვეტილება პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური ფინანსური სპეციალისტების მომზადებაზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და მინიმუმ 17 წლის ასაკი. შერჩევის პროცესი მოიცავს მოტივაციურ გასაუბრებას, რაც უზრუნველყოფს იმ აპლიკანტების მიღებას, რომელთა წინარე ცოდნა და უნარები გარანტიას იძლევა სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევისათვის. პროგრამის მატერიალური რესურსების შეფასებისას ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს №16 აუდიტორიის (AB სასწავლო გარემო) აღჭურვილობას. სივრცე გათვლილია 28 სტუდენტზე ერთ ცვლაში, რაც ორცვლიანი სწავლების პირობებში (56 სტუდენტი) სრულად აკმაყოფილებს დადგენილ კვოტებს. აუდიტორიაში განთავსებულია 28 კომპიუტერი, სადაც ჩატვირთულია საბანკო პროგრამის „Alta“ დემო ვერსია. გარდა ამისა, ინვენტარი მოიცავს ფულის სათვლელ მანქანებს, ულტრაიისფერ დეტექტორებს, საინკასაციო ჩანთების მულაჟებსა და შტამპებს. პრაქტიკული კომპონენტისათვის გაფორმებულია ხელშეკრულებები ისეთ პარტნიორებთან, როგორიცაა სს „გუდვილი“, „ლიბერთი ბანკი“ და მისო „ლენდაფი“, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა რეალურ სამუშაო გარემოში ინტეგრაციას. ადამიანური რესურსის ნაწილში პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი (7 ზოგადი, 14 პროფესიული და 2 ქართული ენის სპეციალისტი). მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს და თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხების რისკს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საგანმანათლებლო რესურსების განვითარება – ბიბლიოთეკაში დაცულია პროფესიული მასწავლებლების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები, მათ შორის ლაშა გაბისონიას დამხმარე სახელმძღვანელო „სერვის პლუსი“ (2025 წელი), რომელიც სპეციალურად „საფინანსო სერვისების“ სტუდენტებისთვის მომზადდა. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია, რადგან მისი რენტაბელობის ზღვარი ერთ ჯგუფზე შეადგენს 14 სტუდენტს. პროგრამის განვითარება ხორციელდება PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე) მოდელის საფუძველზე. კოლეჯი რეგულარულად ატარებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, შიდა პროცედურების სრული დაცვით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ლოგიკური თანმიმდევრობით, სადაც დაცულია მოდულების წინაპირობები და გათვალისწინებულია სსსმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებები. პარტნიორი ორგანიზაციები, განსაკუთრებით „ლიბერთი ბანკი“, აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტთა პრაქტიკული უნარების ფორმირებასა და მათ შემდგომ დასაქმებაში. შეფასების სისტემა კოლეჯში არის ვალიდური და ობიექტური. სტუდენტებს სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში ეძლევათ განმეორებითი შეფასების უფლება (მაქსიმუმ 2-ჯერ), ხოლო შედეგები აისახება მათ პორტფოლიოებში. მოქმედებს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც 2024-2025 სასწავლო წელს

წარმატებით განხორციელდა შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები – უვადოდ. საბოლოო შეფასებით, პროგრამა სრულად პასუხობს ავტორიზაციის ყველა ინდიკატორს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „აღმზრდელი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0112) არის მეხუთე დონის. პროგრამის მიზანია სკოლამდელ აღზრდაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება. პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 ივლისის №36 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 2025 წლის 27 სექტემბერი, №80). სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, მისამართზე: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №47-49. პროგრამა დაგეგმილია კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. მოთხოვნილი კვოტა არის 46 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 116 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 146 კრედიტს. პროგრამის შემუშავება განხორციელდა კოლეჯში დანერგილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც გულისხმობს ბაზრის კვლევას, რესურსების ანალიზსა და სამუშაო ჯგუფის აქტიურ ჩართულობას. მიზანშეწონილობის დასაბუთებისას კოლეჯმა იხელმძღვანელა შრომის ბაზრის კვლევებით, რომლებმაც აჩვენა მაღალი მოთხოვნა ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალისტებზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და კანონმდებლობით განსაზღვრული ტესტირება. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (46 პირი) განსაზღვრულია მეთოდოლოგიურად, სასწავლო გარემოსა და პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობების გათვალისწინებით. პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის მატერიალური ბაზა მოიცავს AC (№21) და B სასწავლო გარემოებს, რომლებიც აღჭურვილია 23-23 სამუშაო ადგილით, კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორებითა და ვიზუალური თვალსაჩინოებებით. პრაქტიკული კომპონენტისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ პარტნიორებთან: შპს ბაგა-ბაღი „ნევერლენდი“ (4 ფილიალი) – 44 სტუდენტზე; შპს „ერუდიტები“ – 40 სტუდენტზე; თბილისის 45-ე ბაგა-ბაღი – 40 სტუდენტზე; თბილისის 20-ე ბაგა-ბაღი – 46 სტუდენტზე.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 27 კვალიფიციური მასწავლებელი (16 პროფესიული, 8 ზოგადი და 3 ენის სპეციალისტი). თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი. პროგრამის ხელმძღვანელია დარგის მოქმედი პრაქტიკოსი, რომლის კომპეტენცია დადასტურებულია პირადი საქმითა და გასაუბრებით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროგრამისთვის საჭირო ლიტერატურით, მათ შორის მასწავლებლების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოთი – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (2025 წელი). ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია, რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 13 სტუდენტს ერთ ჯგუფზე. პროგრამის განვითარება ეფუძნება დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ლოგიკური თანმიმდევრობით, სადაც დაცულია მოდულების წინაპირობები და კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ინდივიდუალური საჭიროებების მქონე (სსსმ/შშმ) სტუდენტებისთვის მოქმედებს ადაპტირებული გარემო (პანდუსები, დამხმარე პერსონალი) და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე. კოლეჯი იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. 2024-2025 სასწავლო წელს ჩატარდა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, რომლის შედეგებიც გამოყენებულია ინსტრუმენტების გასაუმჯობესებლად. შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება დაცულია და ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები – უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ფარმაცია (სააფთიაქო)“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0916) არის მეხუთე დონის. პროგრამის მიზანია უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება ფარმაციაში. პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 22 თებერვლის №50 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 2025 წლის 27 სექტემბერი, №80). სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, მისამართზე: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №47-49. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად დაადასტურა მოთხოვნილი კვოტა – 156 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 123 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 153 კრედიტს. პროგრამის შემუშავება ეფუძნება დაწესებულებაში მოქმედ „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგიას“ (ბრძანება №120). გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ დასაბუთებულია შრომის ბაზრის მაღალი მოთხოვნით – თბილისში ფარმაცევტული კადრების დეფიციტია, რაც დასტურდება ისეთი მსხვილი ქსელების მხრიდან, როგორიცაა სს „გეფა“, შპს „PSP“, შპს „ავერსი“ და შპს „იმპექსფარმა“. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (156 პირი) განსაზღვრულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარუნარიანობის მიხედვით, რაც მოიცავს სამ A/C და ორ B ტიპის სასწავლო გარემოს. პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამა უზრუნველყოფილია სპეციალიზებული ლაბორატორიებითა და აუდიტორიებით: A/C გარემო (№12): აფთიაქის მოდელი 26 სტუდენტზე; A/C გარემო (№14): ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია 26 სტუდენტზე; A/C გარემო (№15): ქიმიური ლაბორატორია და სააფთიაქო ბლოკი 26 სტუდენტზე; B გარემო (№11 და №16): კომპიუტერული კლასები 22 და 28 სამუშაო ადგილით. პრაქტიკული კომპონენტისათვის გაფორმებულია ხელშეკრულებები პარტნიორებთან: სს „გეფა“ (144 სტუდენტი), შპს „ავერსი“ (144 სტუდენტი) და შპს „იმპექსი“ (30 სტუდენტი). პროგრამას ემსახურება 29 კვალიფიციური პირი (17 დარგობრივი მასწავლებელი). საუკეთესო პრაქტიკად შეფასდა კოლეჯის მიერ დანიშნული მენტორი, რომელიც მუდმივად ახორციელებს პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტთა მონიტორინგს. ბიბლიოთეკაში დაცულია მასწავლებლების მიერ შექმნილი რესურსები, კერძოდ ზიზილა წიკლაურის სახელმძღვანელო „ფარმაკოლოგია“ (2024 წელი). პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რენტაბელობის ზღვარი ერთ ჯგუფზე შეადგენს 12 სტუდენტს. პროგრამის ხარისხის კონტროლს ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც PDCA მოდელის მიხედვით აანალიზებს სასწავლო პროცესს და სტუდენტთა უკუკავშირს. სასწავლო გეგმა აგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით: ქართულენოვანი კონტინგენტისთვის ხანგრძლივობაა 23 თვე, ხოლო არაქართულენოვანისთვის – 31 თვე. სწავლის პროცესში გამოიყენება ინტერაქციული მეთოდები (როლური თამაშები, კრიტიკული შემთხვევების განხილვა) და თანამედროვე ტექნოლოგიები (საბანკო/სააფთიაქო პროგრამების დემო ვერსიები). უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო, რაც დასტურდება ნარჩენების მართვის ხელშეკრულებით შპს „ექსპრესდიაგნოსტიკასთან“. შეფასების სისტემა მოიცავს განმსაზღვრელ და განმავითარებელ კომპონენტებს. ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურები ტარდება რეგულარულად, რაც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების ობიექტურობას. ყველა მტკიცებულება დაცულია და ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები – უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საექთნო საქმე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სახელწოდებით „საექთნო საქმე“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0913) არის მეხუთე დონის, რომელიც მიზნად ისახავს საექთნო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას. პროგრამა დამტკიცებულია

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 ივლისის №36 ბრძანებით, ბოლო ცვლილება კი განხორციელდა 2025 წლის 27 სექტემბერს (№80 ბრძანება). სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირზე №47-49. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად დაადასტურა მოთხოვნილი კვოტა – 87 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანებისთვის – 210 კრედიტს. პროგრამის შემუშავება ეფუძნება კოლეჯში დანერგილ მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ბაზრის კვლევასა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს. პროგრამის მიზანშეწონილობა დასაბუთებულია ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის პრიორიტეტებით, კერძოდ, საქართველოს მთავრობის №134 დადგენილებით განსაზღვრული „საექთნო საქმის განვითარების სტრატეგიით“. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც სრულ შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, რაც წლიურად 29 ახალი სტუდენტის მიღებას გულისხმობს. დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ორი სპეციალიზებული AC სასწავლო გარემო, რომლებიც აღჭურვილია ფუნქციური საწოლებით, მანეკენებით, თემატური პლაკატებითა და შესაბამისი სამედიცინო ინვენტარით. ასევე ფუნქციონირებს B სასწავლო გარემო (კომპიუტერული კლასი) 29 სამუშაო ადგილით. პროგრამის ერთ-ერთ საუკეთესო გამოცდილებად შეფასდა ინოვაციური მიდგომების დანერგვა – კოლეჯი ფლობს უახლესი მოდელის 7 ცალ VR (ვირტუალური რეალობა) მოწყობილობას. აღნიშნული ტექნოლოგია გამოიყენება ანატომია-ფიზიოლოგიის მოდულისა და სიმულაციური სწავლების პროცესში, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას უსაფრთხო გარემოში დაამუშაონ კრიტიკული კლინიკური სცენარები. კლინიკური სწავლების კომპონენტისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები წამყვან სამედიცინო დაწესებულებებთან: შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“, შპს „ნიუ ჰოსპიტალს“, შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“, შპს „კონსილიუმ მედულა“, შპს „ღია გულის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“ და „საქართველოს კარიტასი“. თითოეული პარტნიორი უზრუნველყოფს კლინიკურ სწავლებას პრაქტიკის ინსტრუქტორებით, თანაფარდობით 1/7, რაც გარანტიას იძლევა სწავლის შედეგების მაღალი ხარისხით მიღწევისათვის. დაწესებულება ასევე ფლობს საჭირო ბიბლიოთეკურ რესურსს, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 40 კვალიფიციური პირი, მათ შორის 29 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი. პერსონალის დატვირთვა მკაცრად კონტროლდება და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ჰყავს ორი დარგობრივი ხელმძღვანელი (ექიმი და ექთანი), რომლებსაც აქვთ სწავლებისა და კლინიკური საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება. მასწავლებლები რეგულარულად გადიან ტრენინგებს შეფასების მეთოდოლოგიასა და თანამედროვე პედაგოგიურ მიდგომებში. პროგრამა ფინანსურად მდგრადია; რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტით ერთ ჯგუფზე, რაც სრულად ფარავს პერსონალის ანაზღაურების, პრაქტიკის ობიექტების მომსახურებისა და მატერიალური ბაზის განვითარების ხარჯებს. კოლეჯში მოქმედებს პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება PDCA ციკლს. რეგულარულად ტარდება დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, მასწავლებლები, დამსაქმებლები) გამოკითხვა. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, დაცულია მოდულების წინაპირობები და გათვალისწინებულია სსსმ/შშმ პირთა საჭიროებები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების შიდა ვერიფიკაციას, რომელიც 2024-2025 სასწავლო წელს წარმატებით განხორციელდა. შეფასების მტკიცებულებები და უწყისები დაცულია და ინახება დადგენილი ვადით (3 წელი/უვადოდ), რაც პროცესის სრულ ანგარიშვალდებულებას განაპირობებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ინფორმაციის ტექნოლოგია“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სახელწოდებით „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0612) არის მესამე დონის, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას. პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 ივლისის №36 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 2025 წლის 27 სექტემბერი, №81). სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირზე №47-49. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, დაწესებულების ბაზაზე. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად დაადასტურა მოთხოვნილი კვოტა – 44 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 55 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანებისთვის – 70 კრედიტს. პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და სრულ თანხვედრაშია კოლეჯის მისიასთან, რაც გულისხმობს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ სპეციალისტებზე არსებული მზარდი მოთხოვნა განაპირობებს პროგრამის აქტუალობას. დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება და მოტივაციური გასაუბრება. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მეთოდოლოგიურად, სასწავლო გარემოს ფართისა და ტექნიკური აღჭურვილობის გათვალისწინებით. პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს მის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს წარმატებით დასაქმდნენ ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტებად როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს სპეციალიზებული №11 აუდიტორია (ABC გარემო), რომელიც აღჭურვილია 22 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტებისთვის და დამატებითი ადგილით მასწავლებლისთვის. თითოეული სამუშაო ადგილი უზრუნველყოფილია ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერითა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. აუდიტორიაში განთავსებულია ციფრული დემონსტრირების საშუალებები და კარადა, სადაც დაცულია დარგობრივი მოდულებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა (პერიფერიული მოწყობილობები, ქსელური კომპონენტები). პროგრამის განხორციელების მდგრადობას უზრუნველყოფს 18 კვალიფიციური მასწავლებელი, მათ შორის 5 დარგობრივი სპეციალისტი. მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესს, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციასა და პრაქტიკული კომპონენტის ეფექტურ შესრულებას. ბიბლიოთეკაში დაცულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა მატერიალური და ელექტრონული რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ადგილზე, ისე ვებგვერდის მეშვეობით. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია; რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 13 პროფესიული სტუდენტით ერთ ჯგუფზე. კოლეჯში მოქმედებს პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირზე. რეგულარულად ტარდება კმაყოფილების კვლევები სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ლოგიკური თანმიმდევრობით: ქართულენოვანი კონტინგენტისთვის ხანგრძლივობაა 10 თვე, ხოლო არაქართულენოვანებისთვის – 14 თვე. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სსსმ/შშმ პირთა საჭიროებები: მოქმედებს ადაპტირებული ფიზიკური გარემო (პანდუსები) და საჭიროების შემთხვევაში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური. კოლეჯი იყენებს როგორც განმსაზღვრელ (საბოლოო), ისე განმავითარებელ (პროგრესზე ორიენტირებულ) შეფასებას. პროცესის გამჭვირვალობისთვის მოქმედებს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელსაც ხარისხის მართვის მენეჯერი უწევს კოორდინაციას. შეფასების ყველა მტკიცებულება, მათ შორის სტუდენტთა ნაშრომები, ინახება 3 წლის ვადით, ხოლო საბოლოო უწყისები – უვადოდ, რაც სრულად შეესაბამება საქმისწარმოების დადგენილ წესებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0712) არის მეხუთე დონის. პროგრამის მიზანია კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებას და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების განვითარებას. პროგრამა დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბრის №77 ბრძანებით. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, მისამართზე: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №47-49. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად დაადასტურა მოთხოვნილი კვოტა – 150 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 120 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანებისთვის – 150 კრედიტს. პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება საფუძვლიან დასაბუთებას და სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. იგი პასუხობს შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნას უსაფრთხოების ინსპექტორებსა და გარემოსდაცვითი სფეროს სპეციალისტებზე. დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და კანონმდებლობით განსაზღვრული ტესტირება. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (150 პირი) განსაზღვრულია მეთოდოლოგიურად, სასწავლო გარემოსა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობის გათვალისწინებით (50 სტუდენტი სამ ცვლაში). პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს მის შინაარსს და მისაღწევ სწავლის შედეგებს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს დაეუფლონ ისეთ კრიტიკულ უნარებს, როგორიცაა რისკების კონტროლი, ევაკუაციის დაგეგმვა და გარემოსდაცვითი აუდიტი. დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს სპეციალიზებული AC სასწავლო გარემო (№2), რომელიც აღჭურვილია 50 სამუშაო ადგილით სტუდენტებისთვის და შესაბამისი ტექნიკით მასწავლებლისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია პროექტორი, მზომი ხელსაწყოები, მულაჟები და პროგრამისთვის საჭირო მასალა-ნედლეული. სასწავლო გეგმა ისეა შედგენილი, რომ კვირეული დატვირთვა (24 საკონტაქტო საათი) იძლევა სამცვლიანი სწავლების შესაძლებლობას. პრაქტიკული კომპონენტისთვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან: ააიპ „ბიზნეს საქართველო“, შპს „სეიფთი მენეჯმენტ გრუპ“ და შპს „ეიჩ ეს ი ჯეორჯია“. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს 150 სტუდენტის მიღების შესაძლებლობას, რაც გარანტიას იძლევა რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისათვის. პროგრამის განხორციელების მდგრადობას უზრუნველყოფს 25 კვალიფიციური მასწავლებელი (14 პროფესიული, 8 ზოგადი და 3 ქართული ენის სპეციალისტი). თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც გამორიცხავს პროცესის შეფერხებას. პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს პროგრამის ადაპტირებას, პრაქტიკული კომპონენტის შესრულებას და სწავლების ხარისხს. ბიბლიოთეკაში დაცულია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია სპეციალურ პლატფორმაზე. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია; რენტაბელობის ზღვარი ერთ ჯგუფზე შეადგენს 13 სტუდენტს. კოლეჯში მოქმედებს პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირზე. რეგულარულად ტარდება კმაყოფილების კვლევები ანონიმური კითხვარებისა და ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ლოგიკური თანმიმდევრობით: ქართულენოვანი კონტინგენტისთვის ხანგრძლივობაა 20 თვე, ხოლო არაქართულენოვანებისთვის – 25 თვე. პროგრამის ფარგლებში სრულად არის გათვალისწინებული სსსმ/შშმ პირთა საჭიროებები, მოქმედებს ადაპტირებული ფიზიკური გარემო (პანდუსები) და მუშაობს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური. კოლეჯი იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, რაც

ორიენტირებულია სტუდენტის პროგრესზე. პროცესის გამჭვირვალობისთვის მოქმედებს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელსაც ხარისხის მართვის მენეჯერი უწევს კოორდინაციას. შეფასების ყველა მტკიცებულება ინახება 3 წლის ვადით, ხოლო საბოლოო უწყისები – უვადოდ, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების მაღალ სტანდარტს. საბოლოო შეფასებით, პროგრამა სრულად პასუხობს ავტორიზაციის ყველა ინდიკატორს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს 5.2.2.2 ინდიკატორზე გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც საქმისწარმოების სრულად ელექტრონულ ფორმატზე გადასვლას ეხება. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციის მოთხოვნა – საქმისწარმოების „სრულად ელექტრონულად“ განხორციელების შესახებ – შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონთან. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანონმდებლობა მუდმივად შესანახი დოკუმენტაციისთვის კვლავ მატერიალურ ფორმას ითხოვს. თავმჯდომარის პოზიციით, საქმისწარმოების გამართვისთვის უმჯობესია ბრძანების საფუძველში (ტექსტობრივად) მკაფიოდ მიეთითოს დოკუმენტის ინიცირების საფუძველი, ნაცვლად სისტემაში ყველა თანდართული დოკუმენტის სავალდებულო ატვირთვისა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო რამიშვილმა განმარტა რეკომენდაციის გაცემის მიზეზები. მან აღნიშნა, რომ ელექტრონულ სისტემაში (eFlow) დაფიქსირდა ბრძანებები (მაგალითად, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ), რომელთაც არ ჰქონდათ მითითებული ან თანდართული შესაბამისი საფუძველი (განცხადება, მოხსენებითი ბარათი და სხვა). ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულება არღვევს არა კანონმდებლობას, არამედ რეკომენდაცია მიზნად ისახავდა პროცესის გამარტივებასა და გამჭვირვალობას. მან გაიზიარა თავმჯდომარის შენიშვნა ტერმინ „სრულად ელექტრონულად“ გამოყენების უზუსტობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იგულისხმებოდა არა მატერიალური ფორმის გაუქმება, არამედ სისტემაში საფუძვლების უკეთესი იდენტიფიცირება. დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ჯანელიძემ დააფიქსირა კოლეჯის მზაობა რეკომენდაციის შესრულებაზე და განმარტა, რომ ექსპერტთან კომუნიკაციისას საკითხი განიხილებოდა როგორც დოკუმენტების ხელმისაწვდომობისა და ძებნის პროცესის ოპტიმიზაცია და არა საქმისწარმოების წესის ფუნდამენტური ცვლილება. საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ მხარი დაუჭირა თავმჯდომარის პოზიციას და დაამატა, რომ ელექტრონული სისტემა იძლევა შესაძლებლობას, ბრძანების საფუძველში ჩაიწეროს ინფორმაცია დოკუმენტის ფიზიკური შენახვის ადგილის შესახებ, რაც სრულად აღმოფხვრის ბუნდოვანებას დამატებითი ატვირთვის გარეშე. მსჯელობის შედეგად, ექსპერტმა გამოთქვა მზაობა, გაითვალისწინოს საბჭოს შენიშვნა რეკომენდაციის ფორმულირების ნაწილში, რათა გამოირიცხოს წინააღმდეგობა საარქივო წესებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის

განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა: შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს (ს/კ: 406056173) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 5).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

ელექტრონული მზამავლსმეღლა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	საგემბანე განყოფილების რიგითი - მატროსი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. N 33,35, ქ.ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N 2,
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	140
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. N 33,35, ქ.ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N 2,
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	140
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N 38
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	220 (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	125
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N 38
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	280 (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	130
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის No 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	56
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის No 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	46
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია(სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის No 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	156
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის No 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	87
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის No 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	44
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის No 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150